


ტანაკრიძე

მე დავიწყებ... აქვს ადგილი, აქვს ადგილი, აქვს ადგილი

აქვს ადგილი, აქვს ადგილი, აქვს ადგილი

აქვს ადგილი, აქვს ადგილი, აქვს ადგილი

აქვს ადგილი, აქვს ადგილი, აქვს ადგილი



2

კოლ ურედარი

ტრანსცენდენტალური სტილი: ოძუ

44 ინტერვიუ: თბუ

46 თბუ თბუზა

56 დონალდ რიჩი

იასუძირო ოძუ: მისი ფილმების სინტაქსი

68 ჰიჩოკი ბრიუფო

86 რეცენზია

განმანათლებლობის დიალექტიკა,
ფილოსოფიური ფრაგმენტები.
სადორნო/ჰორაკაპიბერი

ჩვენთვის: განმანათლებლობის დიალექტიკა

ოდისეუსიდან ჰიტლერამდე

მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორ ვ. ადორნო

განმანათლებლობის დიალექტიკა
ფილოსოფიური ფრაგმენტები

რეცენზია მაქს ჰორკჰაიმერისა და თეოდორ ვ. ადორნოს
წიგნზე „განმანათლებლობის დიალექტიკა.
ფილოსოფიური ფრაგმენტები“

სა.გა., 2010

454 გვერდი

ფასი: 14 GEL

sa-ga.org

ოთარ ჭულუხაძე

„განმანათლებლობის დიალექტიკა“ ფრანკფურტის სოციალური კვლევის ინსტიტუტის უმთავრესი ნაშრომია. მასში კრიტიკულადაა გააზრებული ევროპული ცივილიზაცია პირველსაწყისებიდან დღევანდელობამდე; ამ ანალიტიკური ნაშრომის სახელი მიუთითებს კვლევისა და დაკვირვების მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, განმანათლებლობა დიალექტიკური მეთოდითაა გააზრებული;

დიალექტიკა, როგორც ფილოსოფიური მეთოდი, ჰეგელმა შეიმუშავა და რა გასაკვირია, რომ „განმანათლებლობის დიალექტიკის“ ავტორების – ჰორკჰაიმერისა და ადორნოს – ფილოსოფიურ აზროვნებაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზეგავლენა სწორედ ჰეგელს მოეხდინა.

სანამ უშუალოდ ადორნოსა და ჰორკჰაიმერის მიერ გამოყენებული დიალექტიკური მეთოდის თავისებურებაზე ვისაუბრებდეთ, მნიშვნელოვანია, ორიოდ სიტყვა ითქვას ჰეგელის ფილოსოფიაზე,

რაც, ცხადია, მეტად სარისკო საქმეა, მაგრამ იმდენის თქმა მაინც შეიძლება, რომ გამოვკვეთოთ თარგი, რომელზეც „განმანათლებლობის დიალექტიკა“ მოქსოვილი.

ჰეგელის ფილოსოფიის მიხედვით, არსებობს გონი (დგთაება), რომელიც „მოგზაურობს“ და ტანჯვის, წვალეებისა და ათასი უბედურების შემდეგ, საკუთარ თავს ადამიანში, მეტადრე კი ფილოსოფიურ ცნებებში მოაზროვნე ადამიანში შეიმეცნებს. ჰეგელის მიხედვით, გონში ეს „იმთავითვე“ მოცემული და ადამიანის არა შემთხვევითობას, არამედ სამყაროს აუცილებელ, ცნებით ექსპლიკაციას (გამოვლინებას) წარმოადგენს. ცნება არის საკუთარი თავის გააზრება, სუბიექტისა და ობიექტის დიფერენციაციის დაძლევა. ადამიანში სამყარო საკუთარ თავს შეიმეცნებს. ჰეგელის ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი მომენტია, რომ გონში აუცილებელი პოტენციურობით, *implicite* მოცემულია ის, რომ მას ოდესღაც (ცხადია, ტანჯვის და ათასი უბედურების შემდეგ) საკუთარი თავი უნდა

შეემცენებინა. ანალოგიურ მომენტს „განმანათლებლობის დიალექტიკაში“ ვხვდებით. ოღონდ, ნაცვლად ჰეგელისეული ღვთაებრივი გონისა, საუბარია ევროპულ ცივილიზაციაზე. უკვე ევროპული კულტურის ერთ-ერთ უპირველეს ტექსტში – პომერსის „ოდისეაში“ პოტენციურად, იმპლიციტურად ის მარცვლები მოცემულია, რაც თანდათანობით ბურჟუაზიული ცივილიზაციის მახასიათებლებში გამოვლინდება.

ჰეგელის ფილოსოფიის მეორე მომენტი, რაც აღორნომ და ჰორკჰაიმერმა გამოიყეს დიალექტიკის კანონია, რომელიც უარყოფის უარყოფითაა ცნობილი და მარტივად რომ ვთქვათ შემდეგს გულისხმობს: ნებისმიერ მთელს, საკუთარ თავში მოცემული აქვს საკუთარი თავისავე უარყოფის პრინციპი. კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ყველაფერი ერთეულოვანი უნდა მოკვდეს. ერთეულოვანია, არა მხოლოდ ადამიანი (ბიოლოგიური ორგანიზმი), არამედ სისტემა (იდუერი მთელი), რომელიც საკუთარ თავს ანადგურებს და უნდა განადგურდეს; სწორედ ამ განადგურების ალგორითმებზე საუბრობენ ჰორკჰაიმერი და აღორნო;

დიალექტიკის კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც ავტორები იყენებენ, არის ორპოლუსიანობა – დაპირისპირებულთა ერთიანობის არსებობა მთელში; ეს მომენტი კარგად არის მოცემული ცნობილ გამოთქმებში: „მედალს ორი მხარე აქვს“, „НЕТ ХУДА БЕЗ ДУРНА“; სწორედ ამას გულისხმობენ ავტორები, როცა ამბობენ „შეუჩრებელი პროგრესის წყევლა შეუჩრებელი რეგრესიაა“. ეს კი დღევანდელობაში ყველაზე კარგად ჩანს – ინტერნეტის შემთხვევაში, რომელიც კაცობრიობას თავისი დიალექტიკური სიდიადით წარმოუდგება: ერთის მხრივ, ის თავისუფალი ინფორმაციის წყაროა, მეორეს მხრივ, კი ის გვევლინება ადამიანთა ტვინის გამორეცხვისა და მაქსიმალური რობოტიზაციის საშუალებად.

ჰეგელისეული მეთოდის გარდა, ავტორები კვლევისას ემყარებიან ფროიდის ფსიქოანალიზს,

სოციოლოგიას და მთელ რიგ ავტორებს, რომელთა ნაშრომებშიც ვლინდება განმანათლებლობის დიალექტიკური ბრძოლა და განმანათლებლობისავე საზღვრები.

განმანათლებლობის დიალექტიკა შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან შედგება: შესავალში დგინდება განმანათლებლობის ცნება, ის ზოგადად ხასიათდება. პირველი ნაწილი: „ოდისეისი ანუ მითოსი და განმანათლებლობა“ ოდისეისი ანალიზს წარმოადგენს. ოდისეისში ავტორები ხედავენ პროტო-ბურჟუას, პირველად სახეს იმ ცბიერი ეკონომიკური ატომისა, რომელსაც უკვე ბურჟუაზიული რევოლუცია სრული დიდებულებით გამოიყვანს საზოგადოებრივ ასპარეზზე; საინტერესოა, რომ ჰორკჰაიმერი/აღორნო ხშირად უწოდებენ ოდისეისს ცბიერს, რამაც შეუძლებელია ჰეგელის კონცეპტი – „ცბიერი ღმერთი“ არ მოგვაგონოს.

მეორე ნაწილი – „ჟულიეტი, ანუ განმანათლებლობა და ზნეობა“ – ეთმობა უკვე ბურჟუაზიულ, განმანათლებლურ ეპოქას; აქ სამ ავტორზე – კანტზე, ნიუშვზე და მარკზ დე სადზე დაყრდნობით წარმოჩინდება ის დაფარული თუ ღია სქემები და ალგორითმები, რომლებსაც უკვე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული საზოგადოება არეკლავს ამ სამი მწერალის შემოქმედებაზე.

მესამე ნაწილში, რაც კულტურის ინდუსტრიას ეხება, თვალის ახვევის ის მექანიზმებია გააზრებული, რომელიც – როგორც ავტორები გვიჩვენებენ – im-plicite ყოფილა მოცემული განმანათლებლობაში.

ბოლო, მეოთხე ნაწილი – „ანტისემიტმიზმის ელემენტები. განმანათლებლობის საზღვრები“ უკვე განმანათლებლობის რაციონალიზმის და მისი შენახული მომენტის მითიური, ირაციონალური ცნობიერების ერთ კონკრეტულ ექსპლიკაციას (გამოვლინებას) – ჰიტლერის მიერ ებრაელთა ამოხოცვას – ეხება.

წინის სრული სახელია „განმანათლებლობის დიალექტიკა ფილოსოფიური ფრაგმენტები“, ფილოსოფიური ფრაგმენტები – მცირე მონახაზებია, რომლებშიც ავტორთა „გაბნეული აზრებია“ შესული. მე მხოლოდ შესავალსა და ნაწილებს მიმოვიხილავ.

შესავალი - განმანათლებლობის ცნება

შესავალში ავტორები განმანათლებლობის ცნებას მნიშვნელობას ანიჭებენ და ცდილობენ ის მომენტები გვიჩვენონ, რომლებიც მას, როგორც არა მითისაგან განსხვავებულს, არამედ მითში პოტენციურად, implicit მოცემულს წარმოგვიდგენენ. ანუ, მითისი არის განმანათლებლობა, განმანათლებლობა კი მითისია.

მითისში შეინიშნება მახასიათებლები, რომელსაც ის საკუთარი განვითარების განმანათლებლურ სტადიაზე გამოავლენს. პირველი და უმთავრესია სამყაროს გაორება, რაც შიშითაა განპირობებული. ადამიანმა დაიწყო რა პრიმიტიული, ბუნდოვანი შემეცნება, სამყარო პირობითად ვთქვათ, ორ „სართულად“ დაჰყო. მეორე სართულზე სხვადასხვა დროს სახლობდნენ, ბერძნული მითოლოგიის „პროციკლები“ ღმერთები, პლატონური იდეები, იუდეური ღმერთი და ა.შ., რაც, როგორც ჰორკჰაიმერი/ადორნო მიგვითითებენ არის „თავი და თავი ყოვლისა უბედობისა“. სწორედ ამ გამოჭვინის წინააღმდეგ არის მიმართული ჰეგელის დიალექტიკური ფილოსოფია, რომელსაც ეყრდნობიან ავტორები.

განმანათლებლობაში ბატონობს გაორება და აბსტრაქტული კანონი, რომელიც ფორმალური ლოგიკის სახით წარმოგვიდგება. ერთეული იზოლირებულია, მას აღარ რჩება სამყაროსთან შერწყმის და გაიგივების შანსი. განმანათლებლობა თავისი რაციონალური მაშინერიით ადამიანს ინდუსტრიის უსახო ჭანჭიკად აქცევს. განმანათლებლობა თვითონვე კლავს საკუთარსავე

შექმნილ სუბიექტს. სუბიექტი, რომელიც ჩვენს გონებაში, როგორც „ეგო“ წარმოჩინდება, ხდება მონური ევალიტარიზმის წინაპირობა, ამას ჩვენ – ოცდამეერთე საუკუნეში მცხოვრებნი მით უფრო მწვავედ შევივრძნობთ.

ადორნო და ჰორკჰაიმერი უარყოფენ პოზიტივისტურ, სციენტისტურ მრწამსს და მას შამანიზმის ექსპლიკაციად, (გამოვლინებად) მიიჩნევენ: „როგორც პრიმიტიულ ჯადოქარს შელოცვისათვის მოხაზული მაგიური წრედიდან გამოსვლა შეუძლილობად და თვითგანადგურებად მიაჩნია, ასევე სციენტისტურ მრწამსს [შიაჩნია] – აზროვნების სინამდვილეში წესრიგის შემტანი საქმიანობისაგან დაშორება – არსებულის მოჯადოებელი წრიდან გასვლად“ მათემატიკური მრწამსი, სქემატიზმი მთლიანობაში აღმოჩნდება, რომ ემსახურება ბუნებაზე და შესაბამისად ადამიანზე გაბატონებას. მათემატიკური ფორმალიზმი ადამიანს აღიქვამს, არა სამყაროს ტოტალობის ამრეკლავ და გარდამსახველ დისკრეციად, არამედ, სხვისაგან მკვეთრად გამოიჭნულ, სტატისტიკურ ერთეულად. ავტორები ფორმალურ ლოგიკას წარმოგვიდგენენ, როგორც პოტენციურად, implicit მოცემულს პრიმიტიულ ტომთა პრიმიტიულსავე კატეგორიებში. ერთიცა და მეორეც ბატონობს წინაპირობად წარმოჩნდება. პოზიტივიზმი, როგორც მცენიერების დამხმარე იარაღი-კლასიფიკატორი, გარეგან ანალიზს უარყოფს და არ ტოვებს ტრანსცენდირების საშუალებას; დიალექტიკური აზროვნება – პოზიტივიზმის ეს ანტითემა, კი სწორედ ერთსა და მრავალს შორის განსხვავების დაძლევაა. ტყუილად არ ამბობდა ჰეგელი, რომ სპეკულატური (ე.ი დიალექტიკური) აზროვნება მისტიკის ანალოგიაო.

საბოლოო ჯამში, ადორნო და ჰორკჰაიმერი განმანათლებლობას ახასიათებენ, როგორც გაუცხოებულ ბუნებას, რომელშიც განხორციელდა ფრენსის ბეკონის უტოპია და გამჟღავნდა იმად, რაც თავიდანვე იყო განმანათლებლობის არსი – ბ ა ტ ო ნ ბ ა .

ოღისეფსი ბურჟუაზიული სუბიექტის პირველსახედ წარმოგვიდგება. ის ფაქტი, რომ „ოღისეფსი“ თავგადასავლებზეა საუბარი, უკვე იმას მიგვანიშნებს, რომ ჰომეროსის ეს ტექსტი სხვადასხვა სოციალური წყობის მომენტებს შეიცავს; „ოღისეფსი“ პარადოქსია, რომ ის მითია და ამავე დროს ეპოპეა, რაც ურთიერთგამომრიცხავი მომენტებია. მითიურ წრებრუნვას უკვე ჰომეროსის ტექსტის ყველაზე გვიანდელ ნაწილში აქვს ძირი გამოთხრილი – ოღისეფსი კი უკვე ბუნებისგან განმდგარ, სუბიექტის პროტოტიპად წარმოგვიდგება. ის, როგორც მითიურ სამყაროს მომორებელი, უკვე წრფივ დროში მოძრაობს. ოღისეფსი ცბიერი მებღავურია, ის ატყუებს ღმერთებს, ციკლოპს. იკვეთება თვითგადარჩენისთვის აუცილებელი იარაღი – ტყე ილი. ეს ტყეილი, რომელიც პროტო-სუბიექტის სისუსტითაა განპირობებული დიალექტიკურად (მედალს ორი მხარე აქვს) მისივე ძლიერი მხარე აღმოჩნდება. მას შეუძლია მოატყუოს ზღვის ღმერთები, გააყუროს „გულუბრყვილო ციკლოპი“. ოღისეფსი, როგორც ბუნებასთან უღიური დაპირისპირებული, იძულებულია ყველა სიტუაციიდან იპოვნოს გამოსავალი.

ოღისეფსის ერთ-ერთი თავგადასავალი ციკლოპებთან გადახდება. მთავარი ციკლოპის – პოლიფემოსისგან თავიდან დასაღწევად ოღისეფსი, მას ეტყვის, რომ ქვია არავინ. მოგვიანებით, ის ჯოხს ჩასცხებს ცალთვალა პოლიფემოსს და დააბრმავებს მას. ხოლო როდესაც პოლიფემოსის მგობარი ციკლოპები მოვლენ და შეეკითხებიან თუ ვინ ამოთხარა თვალი, ის პასუხობს, რომ არავინ. ასე დაიძვრნენ ოღისეფსი თავს.

აღორნო და ჰორკუპიმიერი შენიშნავენ, რომ ციკლოპი პოლიფემოსისთვის გაცემული პასუხი – არავინ, არამხოლოდ ფანდია, არამედ ოღისეფსის „თვითის“ სიცარიელეს აღნიშნავს: ის არის არავინ – მას დაკარგული აქვს ბუნებასთან კავშირი, ის ახდენს სიტყვის ინდივიდუალიზაციას.

მითიურ ცნობიერებაში სიტყვა და მისი შინაარსი იგივეა. თანამედროვეობაში ამ ცნობიერების შემონახული ფორმა რეაქცია გინებაზე. გინების მიმღები ვერ ახდენს საგინებელი სიტყვისაგან გამოჯენას, მის შინაარსს უშუალოდ იღებს და შეტევაზე გადადის. სწორედ სიტყვისა და ბედისწერის გადაბმის დამრღვევია – გვაცნობენ აღორნო და ჰორკუპიმიერი – ოღისეფსი. მისი არავინ სწორედ ცნობიერების გაორებას გულისხმობს – ოღისეფსი ხვდება, რომ არავინ შეიძლება ორ რაიმეს ნიშნავდეს; ის არღვევს სიტყვისა და შინაარსის გადანასკვას და სიტყვას მანიპულირების საშუალებად აქცევს. ოღისეფსთან დარღვეულია აღსანიშნის და აღმნიშვნელის მთლიანობა; მათი გამოჯენა კი მანიპულირების ინსტრუმენტი. სიტყვა ინტერპრეტირებადი ხდება. თვითგადარჩენისთვის აუცილებელია საგნისა და სიტყვის გახლეჩა, მათი ინტერპრეტირება. ოღისეფსის ამ ეპოქალურ ფრაზაში – არავინ – დიალექტიკური ორპოლუსიანობა გამოვლინდება: ის ერთის მხრივ აღიარებს, რომ არავინაა – სამყაროს, ბუნებრივი მთლიანობისგან მოწყვეტილია, მეორეს მხრივ, მისი აღიარება თვითგადარჩენის წინაპირობად გვევლინება. სუბიექტურობა – სამყაროსაგან გამოჯენის აუცილებელი შედეგი – აუცილებლობით მოიცავს თვითუარყოფას.

ოღისეფსის მეექვსე თავგადასავალში სირენების კუნძულების ჩავლისას გადახდა. სირენების მომაჯადოვებელი მოსმენის ნება მხოლოდ მას აქვს, სხვები კი აუცილებლად დაიღუპებიან თუ მოისმენენ. ამიტომ, ოღისეფსი ავლენს ცბიერებას – პოულობს ხელშეკრულებაში ბზარს – ეკიპაჟის წევრებს ყურში ცვილს ჩაუდებს, რათა მათ არ მოისმინონ სირენების სიმღერა. თავად კი ანძაზე დააბმევიანებს თავს, რათა არ ცდუნდეს და არ დაიღუპოს სირენების კუნძულზე. ოღისეფსი ცბიერად წარმოჩნდება. მან ხელშეკრულებაში ბზარს მიაგნო, რადგან პირველყოფილი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სიმღერას დაბმული მოუსმენენ თუ დაუბმელი. ოღისეფსის ეს თავგადასავალი გამოვლინდება უკვე

თანამედროვე სამართალში და ეკონომიკურ სისტემაში. სამართალში არსებობს ღრიჭოები, რომელსაც ცბიერი იურისტი გამოიყენებს, ხოლო ეკონომიკის სფეროში ცბიერება „ისეთი გაცვლის საშუალებაა, რომელშიც ყველაფერი პატიოსნად ხდება, სადაც ხელშეკრულება სრულდება, მაგრამ პარტნიორი მაინც მოტყუებულია.“

ადორნო და ჰორკჰაიმერი ფრანკფურტის ფილოსოფიური სკოლის ტრადიციას არ ღალატობენ და ჰომეროსის „ოდისეაში“ გამოკვეთავენ ქალის, როგორც პატრიარქალური ცივილიზაციის მიერ ჩაგრულის როლს. ჰომეროსის ტექსტებს შიდა ქრონოლოგიური სხვაობა სწორედ იმაზე მიუთითებს – ოდისეის ძის, ტელემაქეს მიერ გაპტერნებული მონაქალების ამოხოცვა უკვე პატრიარქალურია. მკვლევლობის ისტორიის გადმოცემა ცივია, ისინი უკვე პატრიარქალური წყობის აისში იმყოფებიან.

ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ჰომეროსის ტექსტში ერთმანეთთან გადახლართულია ბარბაროსობა და კულტურა. ეს კი ყველაზე კარგად ვლინდება ფრაზაში – „დიდი ხანია არა?“ და ჰომეროსის ტექსტში შემორჩენილი მკვლევლობის ორადორი სცენიდან ერთ-ერთზე – მონა ქალების მკვლევლობაზე – მიუთითებენ. ფრაზაში კი ის უნდა დავინახოთ, რომ ცივილიზაციას მონაქალთა დასჯისგან განდგომა, მისი დავიწყება, ამ მომენტის როგორც შორეულის დაფიქსირება სურს.

კანტი და სალი

ქალთა, როგორც ბუნებრივის, „შეუბილწავის“, მოუხსენელი ბუნების – ჩავგრის მომენტები ექსპლიციტურად გვხვდება მარკოზ დე სალთანაც. ის რაციონალურად, ჭეშმარიტი გამოთვლითა და გულგრილობით საუბრობს ქალებზე. ქალთა მიმართ ლტოლვა არამეცნიერულია, მატრიარქატის გადმონაშთია: „ვერც შეყვარებულის გადმერთება გაუძლებს ანალიზს... მხოლოდ სხეულია ის, რაც

შემიძლია მოვიპოვო.“ ქალის სიყვარული არის ის, რაც თეორიული გონების შუქზე განათებული სასარგებლო არგუმენტებს ვერ მოიპოვებს – სწორედ ამიტომ, თეორიული გონება ნეიტრალური არ არის; უფრო სწორად, გონების მორალურად ნეიტრალური სფეროს (რაც კანტის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილია) გამოიყენა უკვე არის – ადორნო/ჰორკჰაიმერის მიხედვით – ადამიანის ნებისმიერი საქციელის გამართლება. კანტმა პრაქტიკული გონების კრიტიკა წმინდა გონების კრიტიკის შემდეგ დანერგა, რადგან ხვდებოდა რა ევროპული ცივილიზაციისათვის, – რომელიც გარკვეული „მეორე სართულის“, პლატონურ იდეებზე იდგა, – აუცილებელი იყო დაეტოვებინა ის საფუძველი, რომელიც მას დაიხსნინდა წმინდა ბარბაროსობისაგან. კანტმა ეს პრაქტიკული გონების (მორალური გონების) პრიმატად გამოცხადებით სცადა. კანტმა განჭვრიტა, რომ წმინდა თეორიული გონების სფეროს გამოკვეთა უთუოდ გამოიწვევდა ისეთ აღვირახსნილობებს, როგორც მარკოზ დე სადის შემოქმედებაში აისახა. ამის გამო, კანტი „ნათელი მწერალია“ განმანათლებლობის, ხოლო ნიკშე, სალი და მაკიაველი კი ბნელი. სალი და ნიკშეს შემოქმედება კანტის პრაქტიკული გონების ანტიტივზას წარმოადგენს.

ბნელი მწერლები არ მალავენ თეორიული სფეროს გამოკვეთის შედეგად აღზევებულ პრინციპს – „თუ ღმერთი (ანუ მორალური აუცილებლობა) მკვდარია, ყველაფერი ნებადართულია“. ნიკშესთან ეს ძალაუფლების ფილოსოფიად გამოვლინდა, სადთან კი ყველაზე ღიად. სადთან უკუვადებულია პრაქტიკული გონების პრიმატი და რაციონალური არგუმენტებით ახდენს დათრგუნული სექსუალობის პერვერსიულ გამოვლინებას. ყულიეტი (სადის პერსონაჟი) ყოველივე ტაბუირებულ, ცხოველურ ვნებებს ადასრულებს და თეორიული მსჯელობის რელატივიზმს პრაქტიკული მსჯელობის აღვირახსნილობად აქცევს. შეფასებითი მსჯელობები შედარებითია, ამიტომ ყველაფერი ნებადართულია. სწორედ ეს რელატივიზმის წნეხი, რომელიც

სადიშმა და ნიჰმეს ძალაუფლებისკენ სწრაფვაში გამოიხატა, არის ის, რაც მათ, განმანათლებლობის ყველაზე ექსპლიციტურ, თვალნათელ წარმომადგენლებად აქცევს. ისინი ბურჰუაზიული კულცივობისა და ირაციონალური რაციონალობის გამოყენებით – მიჩნევენ აღორნო და ჰორკჰაიმიერი – გვევლინებიან უფრო პატიოსან ავტორებად, ვიდრე პოზიტივისტები და ლიბერალისტური მორალის ლაქიები. მათ უკეთ შეიცნეს თეორიული გონების კავშირი ბატონობასთან, სადმა ეს ყველაზე კულახდილად გადმოსცა თავის მსჯელობებში, ხოლო ნიჰმემ ძალაუფლების სწრაფვა, როგორც მოდერნის მთავარი, მაგრამ დაფარული მომენტი საკუთარ ფილოსოფიაში ასახა.

კულტურის ინდუსტრია

კულტურის ინდუსტრია ალბათ, წიგნის ყველაზე გამორჩეული ნაწილია. აქ საუბარია კულტურის ინდუსტრიაზე, როგორც ყველა სტილზე ძლიერ სტილზე. კულტურის ინდუსტრიის მთავარი მახასიათებლებია – ცრუ მრავალფეროვნება და დამგვემავი გონება, (რაც როგორც დავინახეთ ოდისეგსთან არის მოცემული), რომელიც წინასწარ მოცემული ცხრილებისა და ალგორითმების მეშვეობით ახდენს ადამიანთა ზომბირებას.

ხელოვნების ნაწარმოებები, ფილოსოფიური განაზრებანი და სხვანი იქცევიან იმ დიდი მანქანის ერთგვაროვან შემადგენლებად, რომელსაც კულტურის ინდუსტრია ჰქვია. ინდუსტრიის ბირთვი და მოტორი – დამგვემავი გონება ყოველივეს სარგებლიანობის დაფაზე გადაწერს და ამით სასუნთქს უკეტავს ყოველგვარ საწინააღმდეგო აზრს. საწინააღმდეგო აზრი ისტემას ახარებს, რადგან ის მის ღიაობას ამტკიცებს. ახლებური ტიპის ცენზურა, რომელსაც პირობითად „ტრაქტორი“ შეიძლება ვუწოდოთ თავის საქმეს იდეალურად აკეთებს. ცენზორი პირს აღარ გვიხვევს; მისი მეთოდია

გადაფარვა. შენ იტყვი სიმართლეს, კულტურის ინდუსტრიის „ტრაქტორი“ შენს სატკივარს არც შეიმჩნევს და ვითომც არაფერი – შენს ხმას ინდუსტრიული გრუხუნით გადაფარავს. ნებისმიერი ფილოსოფიური მსჯელობა და თავისუფალი აზრი ქცეულია – ხმად მღალადებლისა კულტურის ინდუსტრიისა შინა. ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მორჩილს შოლტით კი არ იმორჩილებ, არამედ აუცილებელი მინიმუმით აბედნიერებ: აწვდი ციფრულ ფსევდო თავისუფლებას. დღეს ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ შეცვლის ძალა აღარავის შესწევს.

კულტურის ინდუსტრია მოგუდავს კულტურის სულს – ხელოვნებას და დაიყვანს ნაწარმის ლოგიკაზე, რაც ხელოვნების უმაღლეს ლოგიკას – ინდივიდუალიზმსა და მართლის თქმას – ეწინააღმდეგება. ეს, როგორც აღორნო და ჰორკჰაიმიერი ამბობენ, თავად ხელოვნების ბრაღი არაა, ეს მართველობის ფორმების ცვლილებითაა გამოწვეული. მმართველებს დღეს ნაკლებად სჭირდებათ და აფრთხობთ „მაღალი ხარისხის“ ხელოვნება. პირიქით, ის მათ მრავალფეროვნებისათვის ესაჭიროებათ. მათ ჰოლივუდური ფილმები და მულტფილმები, „ნიუსბიცი“ იოლად გამოადგებათ ადამიანთა ტვინების გამოსარეცხად. კარის ხელოვნების დრო საბოლოოდ დამთავრდა და ეს სამუხაროა იმდენად, რამდენადაც სწორედ თავიანთი პატრონების ფრთის ქვეშ ეწოდნენ ხელოვნები ძირგამომთხრელ საქმიანობას. გაქრა პატრონის ფრთა – გაქრა ლავირების შესაძლებლობა, ლავირების სივრცე: „აღრე ხელოვნები, როგორც კანტი და იუმი, წერილებს ხელს აწერდნენ „თქვენი უერთგულესი მონა მორჩილი“-თ. ამავე დროს კი ტახტისა და საკურთხევის საყრდენებს ძირს უთხრიდნენ. დღეს მთავრობის მეთაურებს ისინი [ხელოვნები] საკუთარი სახელებით მიმართავენ, თუმცა ... გაუნათლებელი ბოსების თითოეულ მსჯელობას ემორჩილებიან“. დღეს ბატონობს პრინციპი – ან ჩვენთან, ან გაქრა. დღეს ეკონომიკურ მანქანას ნაკლებად აინტერესებს, თავის ჯოჯოხეთურ სადინარებში სერვანტესის

„დონ კიხოტი“ შემოსულ თანხას გაატარებს, თუ პიგინისთვის განკუთვნილი რომელიმე ნივთით შემოსულს.

ტექნიციზმის სულის შთაბერილი ირონია კულტურის ინდუსტრიის სადინრებში იოლად მიედინება. დღეს, როგორც არასდროს, ჩანს ზოგადის ძალადობა ერთზე. ზოგადმა მიიღო ის, რაც სურდა. გაიჟღინთა გლობალიზმის სულით, გახდა რაციონალური, განმანათლებლური, ეკონომიკის მეტასტაზები კი კულტურის ყოველ ქსოვილს მოსდო.

ეკონომიკის გიჟური ტემპებმა მოშთო ის, რაც ადამიანის უშუალობის გამოხატულება იყო. თამაში და მიბაძვა. მიბაძვა, აღორნო/ჰორაპიმერის, მიხედვით ჩანაცვლებულია რეპროდუქციით, იმიტაციით, ხოლო დამკვეთი გონება გართობასაც თავისი ტოტალობის, – განმანათლებლობის ამ აუცილებელი შედეგის, – უშუალო ნაწილად აქცევს. კაპიტალისტი ექსპლუატატორების გათანგული მოქალაქე იძულებულია ტელევიზორის წინ პოლიფედური ფილმით ან „ნიუსების“ წამყვანთა ერთგვაროვანი სახეებით „გადაიტვირთოს“ და ამ უკანასკნელთა შთავგონებით, ზოგადის ძალადობა საკუთარი უსუსურობით გაამართლოს, რათა კვლავ გადაეშვას ყოველდღიურობის დამთრგუნველ მორევში. გართობაც ისევე ქმნის მრავალფეროვნების ილუზიას, როგორც კულტურის ინდუსტრიის სხვა ელემენტები. ოცდამეერთე საუკუნეში ამას დაერთო ინტერნეტიც – კულტურის ინდუსტრიის უახლესი იარაღი. ინტერნეტი ორთქლის გამოშვების მთავარი ადგილია – ნეოლიბერალიზმის აგორა. აქ ადამიანები თავიანთ უძლურებას ძლიერების საბურველში ახვევენ.

როგორც საუკუნის დასაწყისში პოპულარული რეკლამა ამბობს: განიქარვე! სწორედ განქარვებაა კულტურის ინდუსტრიის სიყალბის მთავარი გამოხატულება – ცრუ თავისუფლება. აი, მე უძლურს და კაპიტალიზმის მსხვერპლს რა დამრჩენია?! გინების ობიექტს როგორმე იზოვნის კაცი და თუ ეს ობიექტი დიდ ძალაუფლებას ფლობს ან პოპულარულია – მაშინ მე უფრო ვხარობ! მე განვიქარვებ!

მოცემული ვითარება სირთულეს მმართველთა და მართულთა საერთო ფსიქოლოგია განაპირობებს. მართული არმემდგარი მმართველია, ხოლო მმართველი შემდგარი მართული. სისტემის შეცვლას რეფლექსიების სწორი მიმართებები და ინდივიდუალური გარდაქმნები, უამრავი სულიერი ბრძოლის მოგება სჭირდება, რაც კულტურის ინდუსტრიით დათრგუნული ადამიანისთვის მიუწვდომელია. ოცდამეერთე საუკუნეში კი სიტუაცია მით უფრო უარესია, რადგან ადამიანები, რომლებსაც ვითარების დანახვა და მართებულად შეფასება შეუძლიათ, როგორც წესი, ფსიქიკაში ერთგვარი „ნაგვის ყუთი“ წარმოუშვებათ, რომელშიც ნებისმიერ მამხილებელ ინფორმაციას გადაუშვებენ და სულში თვითდათრგუნვის ფრაზას – „ეს ხომ ისედაც ვიცოდი, შენ ახალი თქვი რაიმე“-ს გააუღერებენ. საღი აზრის, ხელოვანის წვდომის თუ ჯანსაღი ანალიტიკის პატრონებს კი, როგორც ყოველთვის, დევნიბით „თუ ვერ შეცვლი, აღწერე“ მოუწევთ დაკმაყოფილება.

ამრიგად, კულტურის ინდუსტრია წარმოგვიდგება იმ ტოტალობად, რომელიც ყოველივეს აერთიანებს და ერთ დაზგაზე ქსოვს.

ანთისეპიტიზმი – სუბიექტის თვითგანადგურება

განმანათლებლობა ძალადობად გამოვლინდა. კაპიტალისტური ეკონომიკის ფორმებმა, რომლებმაც სუბიექტი ჩამოაყალიბეს სუბიექტსავე ანადგურებენ. ამ განადგურების უმთავრესი მიზეზი კი კაპიტალიზმის აბსტრაქტული ძალაუფლებაა, რომელიც ინდივიდს პათიურ ცნობიერებას და განტევების ვაცის აუცილებლობას უყალიბებს.

პათიური ცნობიერებისას, სუბიექტი კი არ ემსგავსება (ცივილიზაციას ძულს მიმგვისი) არამედ იმსგავსება ობიექტს; ეს მიმსგავსება კი ხდება რეფლექსიით გარდაუტეხავად, რაც შინაგანი დაგროვილი ბოლმის და უკმაყოფილების უშუალო ამონახვევას და

განტეგების ვაცის ძიებას გულისხმობს. ასეთი განტეგების ვაცები ნაციონალ-სოციალიზმში ებრაელები აღმოჩნდნენ.

ამრიგად, ის, რაც სუბიექტში უკვე ოდისევსთან იყო მოცემული, როგორც პოტენცია, გამოვლინდა ანტისემიტიზმში. ანტისემიტიზმში იყო სუბიექტურობის, როგორც იმედისმომცემი მოდერნულობის დასასრული. სუბიექტში, რომელმაც საკუთარი ცბიერებით კაპიტალისტური ხაფანგი შექმნა და თავისი თავის დიალექტიკური მოხსნა დააფიქრისა, ამოხეთქა იმან, რაც თავიდანვე იყო პოტენციურად მასში მოცემული: დაგროვილი ბოღმა, ბუნებისაგან

განდგომილება. სუბიექტი ჩამოყალიბდა, როგორც შინაგანი და გარეგანი ბუნების დამორჩილების მომენტი, რომელიც ჯერ კიდევ ოდისევსის პერსონაჟში არის მოცემული. სუბიექტი კი კაპიტალიზმმა არარაობად აქცია, – პათიური ცნობიერების მქონე უძლურ არსებებად, რომელთაც, როგორც სისტემის ჭანჭიკებს აუცილებლად სჭირდებოდათ მსხვერპლი. პათიური ცნობიერების განხორციელებული მსხვერპლშენიერით კი განმანათლებლობა საკუთარი თავის სრულ ექსპლიკაციას ახდენს. სუბიექტი თავის თავს ანადგურებს. განმანათლებლობა საკუთარ თავს ამოწურავს.

изображение:

КАДРЫ



муз. фразы
и их тактов

A

B

A

1

2

3

4

5

6

Adagio $\text{♩} = 48$

МУЗЫКА



длительность

1

1

1

1

1

1

2

2

2

схема
изображения
/компо-
зиция/








схема
движения

/ЖЕСТ/



и их кадров

I

II

III



B

A

7

8

9

10

11

Musical score with two staves. The top staff contains notes and rests, with some notes marked with a sharp sign (#). The bottom staff contains notes and rests, with some notes marked with a sharp sign (#). The score is divided into measures corresponding to the film frames below.

1

7/8

3/8

1

3/4


3/4

1/4

1 7/8

1 1/8

1 1/2



4

x4

1

2

3

0 1 2 3

IV

V

VI

ჰენსრიქლო

#7 მარტი 2016